პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 1943 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ჟურნალისტიკური ორგანო | № 22 (298). ფასი 50 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ სოკოლოვსკის

ამ დღეებში დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერ გამაგრებული ზოლი, განავითარეს შეტევა სმოლენსკის მიმართულებით და გუშინ 30 აგვისტოს, დაიკავეს სმოლენსკის მიმართულების გზების ოპერატიულად მნიშვნელოვანი, დიდი კვანძი და თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი ᲔᲚᲬᲘᲐ.

ქალაქ ᲔᲚᲬᲘᲐᲡᲗᲐᲜ წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-მაიორ ᲑᲣᲠᲓᲔᲘᲜᲘᲡ გვარდიელმა ტანკისტებმა, გენერალ-ლეიტენანტ ᲒᲝᲠᲓᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ და გენერალ-ლეიტენანტ ᲤᲠᲣᲜᲖᲘᲙᲝᲕᲘᲡ ჯარებმა, ავიაციის მარშალ ᲑᲘᲚᲚᲝᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ᲑᲝᲠᲝᲛᲝᲕᲘᲡ მფრინავებმა.

ქალაქ ელნიასთან ჩვენი ჯარების მიერ მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მიენიჭოს გვარდიის 29-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას, 76-ე მსროლელ დივიზიას, გვარდიის 25-ე სატანკო ბრიგადას, გვარდიის 26-ე სატანკო ბრიგადას, გვარდიის 23-ე ცალკეულ სატანკო ბრიგადას და 119-ე ცალკეულ სატანკო პოლკს, რომელთაც თავი გამოიჩინეს ქალაქ ᲔᲚᲬᲘᲐᲡᲗᲐᲜ ბრძოლებში „ᲔᲚᲬᲘᲐᲡ“ სახელწოდება და ამიერიდან მათ ეწოდოთ:

ელნიას გვარდიის 29-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია;
ელნიას 76-ე მსროლელი დივიზია;
გვარდიის ელნიას 25-ე სატანკო ბრიგადა;
გვარდიის ელნიას 26-ე სატანკო ბრიგადა;
გვარდიის ელნიას 23-ე ცალკეული სატანკო ბრიგადა;
ელნიას 119-ე ცალკეული სატანკო პოლკი.

დღეს, 31 აგვისტოს, 19 საათზე, ჩვენი დედაქალაქი ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ სამშობლოს სახელით სალუტს მისცემს ასოცდათოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ქალაქ ᲔᲚᲬᲘᲐᲡᲗᲐᲜ.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისა და მანევრირების უნარისათვის მადლობას ვუცხადებ ყველა ჯარებს, რომელთაც თქვენ ხელმძღვანელობთ და რომელნიც მონაწილეობას იღებენ ოპერაციებში სმოლენსკის მიმართულებით. განსაკუთრებით აღვნიშნავ შემდეგი ნაწილების მარჯვე მოქმედებას:

გენერალ-მაიორ ᲡᲢᲣᲩᲔᲜᲙᲝᲡ ელნიას 29-ე გვარდიული წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიისას,

პოლკოვნიკ ᲑᲐᲑᲐᲘᲐᲜᲘᲡ ელნიას 76-ე მსროლელი დივიზიისას,

პოლკოვნიკ ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ გვარდიის ელნიას 25-ე სატანკო ბრიგადისას,

პოლკოვნიკ ᲜᲔᲡᲢᲔᲠᲝᲕᲘᲡ გვარდიის ელნიას 26-ე სატანკო ბრიგადისას,

პოლკოვნიკ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ გვარდიის ელნიას 23-ე ცალკეული სატანკო ბრიგადისას,

პოდპოლკოვნიკ ᲚᲝᲡᲘᲙᲘᲡ ელნიას 119-ე ცალკეული სატანკო პოლკისას,

პოლკოვნიკ ᲚᲐᲡᲙᲘᲜᲘᲡ 63-ე მსროლელი დივიზიისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ᲘᲝ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1943 წ. 31 აგვისტო.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲕᲘᲡ

ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა დღეს, 2 სექტემბერს, ბრძოლით დაიკავეს უკრაინის მნიშვნელოვანი საოლქო ცენტრი—ქალაქი ᲡᲣᲛᲘ.

გერმანელ დამპყრობთაგან ქალაქ ᲡᲣᲛᲘᲡ განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ᲩᲘᲑᲘᲡᲝᲕᲘᲡ ჯარებმა და განსაკუთრებით პოლკოვნიკ ᲖᲣᲑᲐᲠᲔᲕᲘᲡ 340-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ ᲛᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ 167-ე მსროლელმა დივიზიამ და გენერალ-მაიორ ᲣᲚᲘᲢᲘᲜᲘᲡ 232-ე მსროლელმა დივიზიამ.

მიღწეულ წარმატებათა აღსანიშნავად 340-ე, 167-ე და 232-ე მსროლელ დივიზიებს მიენიჭოთ „ᲡᲣᲛᲘᲡ“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ:

სუმის 340-ე მსროლელ დივიზიად,
სუმის 167-ე მსროლელ დივიზიად,
სუმის 232-ე მსროლელ დივიზიად.

დღეს, 2 სექტემბერს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ სამშობლოს სახელით ასოცდათოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს მამაც ჯარებს, რომლებმაც ქალაქი ᲡᲣᲛᲘ გაათავისუფლეს.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისა და მამაცობისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ ᲡᲣᲛᲘᲡ განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობთ.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ᲘᲝ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1943 წ. 2 სექტემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ᲠᲝᲙᲝᲡᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ცენტრალური ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერ გამაგრებული ზოლი ᲡᲔᲕᲡᲙᲘᲡ რაიონში, 30 აგვისტოს მძაფრი შეტევით დაიკავეს ქალაქები ᲒᲚᲣᲮᲝᲕᲘ და ᲠᲘᲚᲡᲙᲘ და ჩრდილოეთ უკრაინაში შევიდნენ.

გერმანელ დამპყრობთაგან ქალაქების—ᲡᲔᲕᲡᲙᲘᲡ, ᲒᲚᲣᲮᲝᲕᲘᲡᲐ და ᲠᲘᲚᲡᲙᲘᲡ განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ᲙᲝᲜᲠᲐᲓᲘᲜᲘᲡ გვარდიელმა ტანკისტებმა, გენერალ-მაიორ ᲠᲣᲓᲩᲔᲜᲙᲝᲡ ტანკისტებმა, გენერალ-ლეიტენანტ ᲩᲘᲠᲜᲘᲩᲝᲕᲡᲙᲘᲡ, გენერალ-ლეიტენანტ ᲑᲐᲢᲝᲕᲘᲡ, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝᲡ მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ დივიზიებს, სატანკო და საარტილერიო შენაერთებს, რომელთაც ყველაზე მეტად გაძოიჩინეს თავი ᲒᲚᲣᲮᲝᲕᲘᲗᲐᲜ, ᲠᲘᲚᲡᲙᲘᲗᲐᲜ და ᲡᲔᲕᲡᲙᲘᲗᲐᲜ წარმოებულ ბრძოლებში, მიენიჭოს:

„ᲒᲚᲣᲮᲝᲕᲘᲡ“ სახელწოდება:
გვარდიის 70-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას;
226-ე მსროლელ დივიზიას;
23-ე სატანკო ბრიგადას;
გვარდიის 1-ლ საარტილერიო დივიზიას.
„ᲠᲘᲚᲡᲙᲘᲡ“ სახელწოდება.
121-ე მსროლელ დივიზიას;
112-ე მსროლელ დივიზიას.
„ᲡᲔᲕᲡᲙᲘᲡ“ სახელწოდება:
69-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას;
მე-60 მსროლელ დივიზიას;
103-ე სატანკო ბრიგადას;
43-ე მექანიზებულ ბრიგადას;
255-ე ცალკეულ სატანკო პოლკს;
68-ე საზარბაზნე საარტილერიო ბრიგადას;
მე-100 წითელდროშოვან დიდი სიმძლავრის საარტილერიო ბრიგადას, და ამიერიდან ეს შენაერთები იწოდებოდნენ.

გვარდიის გლუხოვის 70-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია;
გლუხოვის 226-ე მსროლელი დივიზია;
გვარდიის 23-ე სატანკო ბრიგადა;
გვარდიის გლუხოვის 1-ლი საარტილერიო დივიზია;
რილსკის 121-ე მსროლელი დივიზია;
რილსკის 112-ე მსროლელი დივიზია;
სევსკის 69-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია;
სევსკის მე-60 მსროლელი დივიზია;
სევსკის 103-ე სატანკო ბრიგადა;
სევსკის 43-ე მექანიზებული ბრიგადა;
სევსკის 255-ე ცალკეული სატანკო პოლკი;
სევსკის 68-ე საზარბაზნე საარტილერიო ბრიგადა,
სევსკის მე-100 წითელდროშოვანი დიდი სიმძლავრის საარტილერიო ბრიგადა.

დღეს, 31 აგვისტოს, 20 საათსა და 30 წუთზე, ჩვენი დედაქალაქი ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ სამშობლოს სახელით ასოცდათოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქები ᲒᲚᲣᲮᲝᲕᲘ, ᲠᲘᲚᲡᲙᲘ და ᲡᲔᲕᲡᲙᲘ.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისა და მანევრირების უნარისათვის ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ᲡᲔᲕᲡᲙᲘᲗᲐᲜ, ᲒᲚᲣᲮᲝᲕᲘᲗᲐᲜ და ᲠᲘᲚᲡᲙᲘᲗᲐᲜ წარმოებულ ბრძოლებში, და პირველ რიგში:

პოლკოვნიკ ᲒᲣᲡᲔᲕᲘᲡ გვარდიის გლუხოვის 70-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ ᲞᲔᲢᲠᲔᲜᲙᲝᲡ გლუხოვის 226-ე მსროლელ დივიზიას;
არტილერიის გენერალ-მაიორ ᲒᲝᲓᲘᲜᲘᲡ გვარდიის გლუხოვის 1-ლ საარტილერიო დივიზიას;
პოლკოვნიკ ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘᲡ გლუხოვის 23-ე სატანკო ბრიგადას;
გენერალ-მაიორ ᲚᲐᲓᲘᲖᲘᲜᲘᲡ რილსკის 121-ე მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ ᲒᲚᲐᲓᲙᲝᲕᲘᲡ რილსკის 112-ე მსროლელ დივიზიას,
პოლკოვნიკ ᲙᲣᲖᲝᲕᲙᲝᲕᲘᲡ სევსკის 69-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ ᲑᲝᲒᲝᲚᲘᲣᲑᲝᲕᲘᲡ სევსკის მე-60 მსროლელ დივიზიას;
პოდპოლკოვნიკ ᲮᲐᲚᲐᲔᲕᲘᲡ სევსკის 103-ე სატანკო ბრიგადას;
გენერალ-მაიორ ᲑᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲡ სევსკის 43-ე მექანიზებულ ბრიგადას;
პოდპოლკოვნიკ ᲛᲣᲮᲘᲜᲘᲡ სევსკის 255-ე ცალკეულ სატანკო პოლკს;
პოლკოვნიკ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘᲡ სევსკის 68-ე საზარბაზნე საარტილერიო ბრიგადას;
პოლკოვნიკ ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲘᲡ სევსკის მე-100 წითელდროშოვან დიდი სიმძლავრის საარტილერიო ბრიგადას;
გენერალ-მაიორ ᲝᲜᲣᲤᲠᲘᲔᲜᲙᲝᲡ გვარდიის მე-6 მსროლელ დივიზიას;
პოლკოვნიკ ᲚᲐᲨᲩᲔᲜᲙᲝᲡ 322-ე მსროლელ დივიზიას;
პოდპოლკოვნიკ ᲣᲑᲠᲘᲣᲛᲝᲕᲘᲡ 150-ე ცალკეულ სატანკო ბრიგადას;
პოლკოვნიკ ᲞᲔᲒᲝᲕᲘᲡ 1178-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკს

და ავიაციის გენერალ-მაიორ ᲓᲔᲜᲘᲡᲝᲕᲘᲡ, ავიაციის გენერალ მაიორ ᲐᲜᲢᲝᲨᲘᲜᲘᲡ, ავიაციის გენერალ-მაიორ ᲙᲐᲠᲐᲕᲐᲔᲕᲘᲡ, პოლკოვნიკ ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐ და პოლკოვნიკ ᲑᲣᲒᲔᲚᲔᲕᲘᲡ ავიაშენაერთთა მფრინავებს.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ᲘᲝ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

31 აგვისტო, 1943 წ.

ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ
მომწოდებელი წიგნი

ულრმესი სიხარულის დღეებს განიცდის ჩვენი დიდი სამშობლო, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი. ჩვენს ქუჩაზედაც დაიწყო დიდი საბჭოთა დღესასწაული. გახშირდა მოსკოვიდან საძრომლოდ გასახელთ წითელი არმიის პატივსაცემად გასროლილი საზეიმო სალუტები. ეს თვეები ჩვენი მამაცი წითელი არმიის შეუიერებელი და განუწყვეტელი წინსვლის დღეებია. ჩვენი ჯაოების ძმწვავე და სასტიკი შეტევის ძეოიებით გერძახელ ფაშისტთა ურდოები, ჰკარგავენ ორ აუარებელ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, იხევენ უკან დასავლეთისაკენ. წითელ არმიას მტკიცედ უპყრია ხელთ ინიციატივა და აღარ არსებობს ძალა, რომელსაც ძეეძლოს ჩვენს ჯარსა და მის სარდლობას გამოჰგლეჯოს ეს ინიციატივა.

ამ ორი წლის მანძილზე წითელი არმია გარდაიქცა უძლეველ ძალად როგორც თავისი საკომანდო და რიგითი შეადგენლობის სამხედრო ოსტატებისა და გაწრთვნილობის, გულადობისა და სიმამაცის, ისე სამხედრო ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით. მაგრამ ძარტოოდენ ამაში როდია წითელი არმიის ძლევამოსილების სათავე. წითელი არმიის გაუტეხელი სიმტკიცის წყარო იყო და არის ის უკეთილშობილესი მისია, რომელსაც ეწოდება ბრძოლა სამშობლოს გახთავისუფლებისათვის მუხანათ და ვერაგ უცხოელ დამპყრობელთაგან. ეს უმნიშვნელესი პატრიოტული მოვალეობა ასაზრდოებდა ჩვენი ჯარისა და ჩვენი ზურგის შეუდრეკელ სიმტკიცეს, წითელი არმიის და მისი ზურგის განუყოფელ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. მზარდი ძალა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი საბჭოთა ხალხის ამ შეუმუსრავი მორალური დასაყრდენისა გეხიალური სიზუსტით იყო გათვალისწინებული საბჭოთა ხალხების ბრძენი ბელადის დიდი **სტალინის** პირველსავე გაძოსვლაში, სამ ივლისს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში. ამავე ისტორიულ დოკუმენტში დიდმა ბელადმა სწორუპოვარი სიზუსტით განსჭვრიტა გერმანიის ტირანიის წინააღმდეგ შებრძოლი საბჭოთა ხალხის საერთაშორისო პოლიტიკური როლის განუხრელი ზრდა, გახსჭვრიტა მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობის გაერთიანება ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის გასანადგურებლად, იწინასწარმეტყველა სისხლიანი ფაშიზმის ქუსლქვეშ გართხმული და ძგმინავი ევროპელი ხალხების ფეხზე წამოდგომა, მათ შორის შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთების გაღვივება, მათი შეიარაღებული აჯანყებანი იმ მომენტიდან, როგორც კი მაძაცი წითელი არმია შეაჩერებდა გერმანელ ოკუპანტთა წინსვლას და შემდეგ თავათ გადავიდოდა შეტევაზე. მიმდინარე ამბები ცხადჰყოფენ ჩვენი ბელადის შორსმჭვრეტელობის სისწორეს.

სამამულო ომის გამო შემდეგ წარმოთქმულ თავის მოხსენებებსა, სიტყვებსა და ბრძანებებში, რომლებიც ამჟამად ერთ წიგნად არის გამოცემული, საბჭოთა ქვეყნის ბრძენმა ხელმძღვანელმა და ჩვენი შეიარაღებული ძალების გენიალურმა მთავარსარდალმა ამხანაგმა **სტალინმა** მოგვცა მთელი პროგრამა იმისა, თუ როგორ უნდა გაშლილიყო მუშაობა არმიასა და ზურგში, თუ როგორ უნდა გამოგვყენებინა სამამულო ომის გაკვეთილები იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო ჩვენი სამხედრო ნაწილების უფრო და უფრო მზარდი სამხედრო გაწრთვნილობა და ზურგში მომუშავე საბჭოთა პატრიოტების მრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ალმავლობა. არ არის საკითხი, რომელიც კი წამოჭრილა სამამულო ომის პერიოდში და რომლის უაღრესად სწორი გადაწყვეტა არ მოეცა საბჭოთა ქვეყნის ბრძენ წინამძღოლს დიდ **სტალინს.** ეს წიგნი უდიდეს თეორეტიულ და პრაქტიკულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს, იგი აიარაღებს ყოველ ჩვენ ძეომარსა და ზურგის ყოველ მუშაკს ძეცნიერული წინასწარხედვით, აძლევს მათ უაღრესად ნათელ და სწორ წარმოდგენას საერთაშორისო ვითარების ურთულეს საკითხებზე, უმტკიცებს მათ საბოლოო გამარჯვების რწმენას, ჰმატებს მათ ულეველ ძალას ახალ-ახალი საგმირო საქმეების ჩასადენად. ამით აიხსნება, რომ მთელი ჩვენი ხალხი—ჩვენი მუშები და კოლმეურნეები, ჩვენი ოფიცრები და წითელარმიელები, ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის მუშაკები უდიდეს ინტერესს იჩენენ ამხანაგ **სტალინის** ამ შესანიშნავ წიგნისადმი და სცდილობენ ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პრაქტიკის ეს უდიდესი შენაძენი.

როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ისე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის ამხანაგ **სტალინის** წიგნი არის მათი შემდგომი იდეური და მორალური ზრდის დაუშრეტელი წყარო და დასაყრდენი. ყოველი ჩვენგანის ძოვალეობაა ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ეს შესანიშნავი დოკუმენტი, შევისწავლოთ იგი როგორც წრეებში, ისე დამოუკიდებლად.

დიდი ბელადის ამ ისტორიული სიტყვების, მოხსენებებისა და ბრძანებების შესაწავლა აუცილებელია მწერლისათვის, როგორც შემოქმედისათვის. უკვე მოდის დრო, როცა სამამულო ომზე, სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ხალხის მიერ გადახდილ გრანდიოზულ ამბებზე მუშაობას საბჭოთა მწერალი ვერ შემოფარგლავს მხოლოდ ლექსების, ხოველებისა და პატარა მოთხრობების შექმნით. უკვე დგება დრო, როცა უნდა დაიწყოს მოხუმენტური, ეპიკური ტილოების შექმნა საბჭოთა ადამიანის უდიდეს მატერიალურ და სულიერ სიმტკიცეზე, საბჭოთა ხალხის იმ გაუტეხელ ფიზიკურ და მორალურ ძალაზე, რომელზედაც დაიმსხვრა და მტვრად იქცა გერმანული ფაშიზმის ჯოჯოხეთური მანქანა.

ასეთი ნაწარმოების დაწერა კი წარმოუდგენელია ისე, თუ მწერალმა ყოველმხრივ და საფუძვლიანად არ შეისწავლა დიდი ბელადის წიგნში მოცემული უმდიდრესი გამოცდილება პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა ხალხისა. ისევე, როგორც ჩვენი მეურნეობისა და კულტურის ყველა მუშაკისათვის, ამხანაგ **სტალინის** ისტორიული წიგნი ქართველი საბჭოთა მწერლებისათვის იქნება ბიძგის მიმცემი და შთაგონებელი უდიადესი და უწმინდესი სამამულო ომის და ამ ომში სახელმოხვეჭილ საბჭოთა ადამიანების ამსახველ და უკვდავმყოფ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

მოდის ყველა ძმადნაფიცი

ორგზის ორდენოსან მფრინავს **დავით თავაძეს**
სოლომონ თავაძე

მე არ ვიცი, ახლა სად ხარ, სად გაჰკვეთე ღრუბლის ქედი,
არც ის ვიცი, თუ გინახავს ჩვენი ძველი ზეციერთანი,
ძველი ორკე და ნაძვნარი, სალოცავი ძველის-ძველი,
მთის მწვერვალზე აღმართული, ცადაწვდილი მძლავრი ხელი,
წინაპართა ხაგზაური, დედის ცრემლი, ‘ძუქად მდნარი,
აელვებულ ხმლით ნაკვესი სულის სწრაფვა ზენაარი,—
მაგრამ როცა დღეს გაზეთში შენი სახე ამობრწყინდა,
ჩემი გული, ფრთაგაშლილი, მყისვე შენთან გადმოფრინდა;
დაგიკოცა ეგ თვალები, მშობლიურად მომღიმარე,
დედის კოცნაც მოგიტანა, უკვდავების მომფინარე;
მერმე ‘ენთან, შენს საჭესთან მოთავსდა, ვით მოთვალთვალე,
ხედავს, როგორ ჰკვეთ, ძიარღვევ ცისიერში ცეცხლის რკალებს.
მტერი გარბის, ვეღარ შერჩა დონის ველს და ვოლგის ნაპირს
მტერი გარბის და შხამს აფრქვევს ვით საზარი გველეშაპი.
შენ გასძახი შენს არწივებს:—იერიში ჩქარზე ჩქარი!
თავს ატყდები მტრის ურდოებს შემმუსვრელი რისხვის ქარით.
სჭექს, გრიალებს ეგ შენი ხმა შემოდგომის ყომრალ ნისლში:
დე დამიწდეს, ვინც დაღვარა ჩვენი ძმების წმინდა სისხლი!..
გადახედავ მტრის ბანაკში აზღვავებულ ცეცხლის ენებს,
და იმ ცეცხლის ანარეკლი ცისკარივით ფრთებს გიშვენებს.
კვლავ წინ მიჰქრი უკან სტოვებ შავად მღელვარ ღრუბლის ფარდებს,
ძთებს გაჰყურებ, ჩვენი ქვეყნის მშვენებას და სილაჟვარდეს.
აქაც სურდა მუხანათი აჰყოლოდა ბროლის კიბეს,
გადუღობეთ მისასვლელი, მაღლობიდან ცეცხლს უკიდებთ.
შენ კვლავ უხმობ შენს არწივებს:—იერიში ჩქარზე ჩქარი!
და მიარღვევთ ცეცხლის ზვავებს მზით ნაწრთობი რწმენის ფარით.
ხევს მოედო ნიაღვარი, ჩაიხერგა სვავთა ძვლებით..
და ჭაღარა მთის მწვერვალზე ისევ ბრწყინავს სხივთა ძნები.
გზას გაჰხედავ::: ერთი, ორი... მოდის ყველა ძმადნაფიცი;
გულს ჩაგიკრავს, გაგიღიმებს დედის თვალი მარადისი.

ზურგის მძივები

შალვა დადიანი

ამით ვიწყებ პატარა წერილების წერას დიდ ვაჟი მიაცივდა პასუხისათვის. მაშინ მამამ
საკმეებზე. ჩვენი ზურგის ამბებზე.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ზურგი სათანა-
დო სიმაღლეზე დგას, ის ერთის სუნთქვითა
სუნთქავს სახელოვან, გმირულ წითელ არმი-
ასთან, პარტიასა და ხელისუფლებასთან ერ-
თად და ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ თა-
ვისი სულიერი სიმტკიცით თავისი, ნივთიერი
ღონითა და დოვლათით—მოსავლით, ჰირნა-
ხულით, ქარხანათა ნაწარმით, იმისათვის
ყველა საჭირო მასალით დაეხმაროს ფრონტს,
უგლიმ მტერზე გამარჯვებას საქმეს.

მთელ ჩვენს დიდ კავშირში დიდი და და-
ძაბული მუშაობა სწარმოებს ზურგში ამისა-
თვის.

საქართველოც, ცხადია, ასეთ დიდ მუშაო-
ბას აწარმოებს.

ამ დიდი მუშაობის მონაწილე ადამიანების
შესახებ გვაქვნება საუბარი ჩვენს წერილებში.

ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს წერი-
ლებში იქნება უფრო ფაქტები, ზოგჯერ ზო-
გადი, ზოგჯერ კონკრეტული.

1. ქართველი ქალები.

ჩვენ ხალხს თავის ტანსაცმელი ოდესღაც
მძივებით ძოურთავს და თავის ხელითვე დარ-
თული და ძოქსოვილი შესამოსი ათას-გვარ
მარგალიტებად აუქვავებია. ამის ნაშთს დღე-
საც შევხვდებით ძთაში, განსაკუთრებით ხევ-
სურეთში.

დღეს მძივებით არავინ არა ოთავს თავის
გარეგნობას, მაგრამ შინაგან, სულიერ
ძწყობრში თურმე რა „პატიოსან თვალთაგან“
ჰქონია მორთულ-მოკაზმული საკუთარი აღ-
რაგობა! აქ არის ახოვნება სულისა, შეუდ-
რეკელობა, „ჭირსა შიგან ქვიტკირობა“,
შეძართება, გაძეარიახობა და საერთოდ ყვე-
ლა ის თვისება, რაც უნდა ჰქონდეს ხალხს
თავისი ღირსების, ნამუსისა და მოვალეობის
შემგნებს.

ასეთი ძვირფასი სამკაულითაა თურმე ყელ-
მოღერებული დღეს ჩვენი ხალხი როგორც
შიგ, ისე გარეთ—ფრონტსა და ზურგში.

მათ შორის ჩვენდა საამაყოდ დიდად ერ-
ჩევიან ჩვენი ქალები.

მაგრამ ქალების შესახებ აი რა მიამბო
ერთმა ხანდაზმულმა მეგობარმა. იგი მომიყ-
ვა ზღაპარს აღმოსავლურს.

მიამბო ზღაპრულად, ვითომდა შეფერადებ-
ით:

„იყო და არა იყო—რა, ადამიანზე უკეთესი
ამ ქვეყნად რა იქნებოდა!

ერთს ქვეყანაში, ერთს სოფელში, ერთს
მუხურში ცხრა მთას იქით, ცხრა წყალს გაღ-
მა, ცხრა მუხაში სახლობდა ერთი კარგა
შეძლებული ოჯახი. ყველაფრით კარგად
იყვნენ, მხოლოდ მოხუცი მამა ქვრივი იყო.
მისი მოწიფული ერთადერთი ვაჟი—უცოლო.
ქალი არ ტრიალებდა ოჯახში. შეთანხმდნენ
მამა-შვილი და, ერთ მშვენიერ დღეს, ვაჟმა
ცოლად მზეთუნახავი ქალი მიიყვანა. დიდი
ქორწილი გადაიხადეს. ერთ კვირას გასტანა
ზეიმმა და ზატიკობამ. როდესაც ამასაც მორ-
ჩნენ და დაიწყო ჩვეულებრივი, მორიგი სა-
დაგი დღეები, ერთხელ ვაჟი შეეკითხა მამას:
„თუ გიყვარდე, მითხარი, ოჯახში ვინ არის
უფროსი, ქალი თუ ვაჟი“. მამას ულვაშებ-
ში ჩაეცინა და ერთი ალმაცერად შეხედა.
ამოიოხრა: „ეჰ, შვილო, აი ჩემ ხნამდე რომ
მოიყრება, მაშინ გაიგებო“. ვაჟს ეს არ ეჯაშ-
ნიკა და პასუხი უფრო მტკიცედ მოსთხოვა
ამაზე კი მამამ უპასუხა: „აგერ, შვილო,
თავლაში ბედაურები გვიბია. საქათმეში კი-
დევ ბევრი ქათამი გვყავს. რა კი ასე გულით
გსურს გაიგო ეგ ამბავი, გასწი და ქვეყანა
მოიარე. თან წაიყვანე სამი ბედაური და ასი
ქათამი. საცა აღმოჩნდება, რომ ვაჟი უფრო-
სია, ბედაური მიართვი და საცა ქალი, ქა-
თამი დასტოვეო“. დილა-ადრიან ვაჟი გამო-
ეწყო, თან წაიყვანა სამი ბედაური, ასი ქა-
თამი და გაჰქუსლა.

იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა, „შემოვ-
ლო კლდე-კაპანია“ და ყველგან იძულებუ-
ლი იყო ქათამი დაეტოვებინა. თითქმის არ
დარჩა არც ერთი კუთხე მოუვლელი და მო-
დის შინ დაძმარებული, რომ შეუდგა კიდეც
თავის სოფლის აღმართს, ბექობიდან შეამჩ-
ნია, მოშორებით ტეფრში ბოლი ამოდის და
სახლის სახურავიც მოსჩანს. „აი აქ კი არ
ვყოფილვარ ნამდვილათო“ და ეხლა იქით
წოესვა.

„ეი, მასპინძელო, მასპინძელო!“

სახლიდან გამოვიდა მშვენიერი ჭაბუკი.

მოსულმა აუხსნა თავისი მოგზაურობის
მიზეზი და სთხოვა ეთქვა ნამდვილი. დამხ-
დურმა ამაყად გაიღიმადა და უპასუხა: რა-
საკვირველია, შე ვარ უფროსიო! არა,
ვერ დაგიჯერებ. ამის საბუთი უნდა მქონდეს.
ისე არ იქნებაო“. „სიამოვნებით! ეი, დედა-
კაცო! „და აივანზე გამოვიდა საუცხოვო სა-
ნახაობის ქალი „აბა, ჩემო მეუღლევ, ერთი
აუხსენი ამ ახირებულ სტუმარს, ჩვენს ოჯახ-
ში ვინ არის უფროსი, მე თუ შენ?

ქალმა სტუმარს ოდნავ დამცინავი ღიმი-
ლით გადახედა, შემდეგ ქმარს მიუბრუნდა:
მაგას აბა რაღა თქმა უნდა, შენა ხარ უფ-
როსი და მუხლებზე სიყვარულით მოეხვია.
ამის გაგონებაზე მოსულს გახარება დაეტყო
და დამბვდურ ვაჟს შესთავაზა: „რა კი ეგ-
რეა, აგერ სამი ბედაური მყავს, რომელიც
ცნობავს, აირჩიეო“. „ძალიან კარგია“,—შეს-
ძახა მასპინძელმა და ქუთახზე მიუთითა, მო-
სული წავიდა ცხენის მოსახსნელად, მაგრამ
ამ დროს შეამჩნია, რომ ცოლმა ქმარს ყურ-
ში რაღაც წასჩურჩულა. ამის შემდეგ მკა-
ფიოდ მოესმა ქმრის სიტყვები: „უკაცრავად,
შეგცდი, ქუთანი კი არა, აი შავი ცხენი რომ
გკვავთ, უნიშნო შავი, ის მომეცითო“. სტუ-
მარი შეჩერდა, ნაღვლიანად უპასუხა: „არა,
ძმავ, მე შენ ცხენს ვერ მოგცემ, აგერ ერ-
თი ქათამი დამრჩა და ის მიირთვიო“.

ხანდაზმულმა მეგობარმა დაამთავრა ზღა-
პარი და თან ცბიერად შემომაჭერდა. მე ხმა
არ ამომიღია, რადგან პირველად ვერ გავი-
გე, რა უნდოდა ამითი ეთქვა. ეს შემამჩნია
და თვითონ განმიმარტა:

„რაღა თქმა უნდა, აქ ქალის უფროს-უმცა-
როსობაზე არ არის საქმე. ჩემის ფიქრით, ეს
ზღაპარი იმას ამბობს, რომ ქალს შეუძლიან
ცხოვრებას ჩაუდგეს სათავეში, მართოს და
განაგოს არა თუ ოჯახი, არამედ უფრო დი-
დი საზოგადოებრივი ერთეული, ორგანიზა-
ციები, სახელმწიფო. აი რა მინდოდა მეთქვა
შენთვის ამ ზღაპრით. გამიგე?—შემეკითხ-
ა.

ეკამდე ქალი მამაკაცს შეიძლება, მოსავ-
ლის შემოტანაში თუ ეხმარებოდა: ყურძნის
კრეფაში, სიმინდის მოტეხაში, გუთანს თავის
დღეში არ ეკიდებოდა, თოხს ხელში იშვია-
თად, პაწია პოსტნის ცასამარგლად თუ აი-
ღებდა, ეხლა, მაგალითისათვის, სამტრედიის
რაიონში ერთ ქალს 10 ჰექტარი მარტოკას
დაუხნავს. პატარა ფოთში ჯერ კიდევ რო-
დესაც ვაჟკაცები ბრძოლის ველზე არ იყვ-
ნენ გასულნი, 85 ჰექტარი მუშავდებოდ-
მთელს კოლექტივში, წრეულს ქალების მეო-
ხებით 300 ჰექტარია დამუშავებული.

და ასეა ყველგან, ყველგან ერთი ორად,
ერთი სამად გაუტუტვებიათ ჩვენ ქალებს დამუ-
შავებული ფართობი.

ქართველი ქალი გარეგნულად დღესაც ისევ
ისე მიმზიდველია, როგორც ოდესღაც და
შეიძლება უკეთესიც, მხოლოდ იმ განსხვავე-
ბით, რომ იგი სულ აღარ ჰგავს თავის სუ-
ლიერი სიმაღლით, მაგ., მეცხრამეტე საუკუ-
ნის ქართველ ქალს. ის, რასაც დიდი აკაკი
თავის დროზე უწუნებდა და უზრახავდა
ჩვენს მშვენიერს ქალს, რომ იგი მამულის-
თვის სასარგებლო შვილებს არ ზრდის, არ
უვლის, სრულიად გადაგვარებულია და გაი-
ძახის: „სამშობლო რას მიქვიანო“ და სხვა
ესეთები, სრულიად აღმოფხვრილან „პირისა-
გან ჩვენი ქვეყნისა“ და ძალიან კარგიც უნ-
ებიათ.

ეხლა ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა სასახელო
პატრიოტები, რა გმირები დაუზრდიათ ჩვენს
დედებს, რა საამაყო! მათი სახელი „უკვე
ლეგიონ“.

რა მუშაობის ღონე და უნარი გამოუჩენიათ
ჩვენს დებს! რა სიყოჩაღე, რა გაძლეობა!

მუშაობს ყველა: კოლმეურნე ქალი, ექიმი,
ინჟინერი, აგრონომი, მასწავლებელი.

უსათუოდ დიდი რამ ძეგლი შეეფერება
ჩვენს მადალი სულის პატრონ ქალებს: ლი-
ტერატურაში, მუსიკაში, სახვითს ხელოვნება-
ში, თეატრში, კინოში.

ჩვენი მადლობა, ჩვენი თავმოწონებითი აღ-
ტაცება და დაფასება, ჩვენი გულწრფელი
სალამი სასიქადულო ქართველ ქალებს!

წიგნები სკოლამდელთათვის

საბავშვო და ახალგაზრდობის ლი-
ტერატურის გამომცემლობას წელს
განზრახული აქვს შემდეგი წიგნების
გამოცემა: „ბუგელია და ბროლია“
(თემა თ. თუმანიშვილისა, ილუსტ. —
კ. ლორთქიფანიძისა, მხატვარი—ლ.
გალჩევსკაია).

„ზოთას ლურჯა“—ლ. მეგრელიძის
ლექსთა კრებული, რომელშიც მოთავ-
სებულია ლექსები სკოლამდელთა რო-
გორც უმცროსი, ისე უფროსი ასაკის
ბავშვთათვის.

„ნაცნობები“ (ავტორი თ. თუმანი-
შვილი, მხატვარი ლ. გალჩევსკაია)
ეკუთვნის სკოლამდელი ბავშვების
უმცროსი ჯგუფისათვის განკუთვნილ
წიგნების ჯგუფს.

მზადდება დ. კასრაძის, მხატვრული
წიგნი დიდი **სტალინის** ბავშვობაზე. ამ
წიგნში აღწერილი იქნება ბელადის
ბავშვობა (5–7 წლის პერიოდი), იმ-
დროინდელი გორი, თამამმობანი, სიმ-
ღერები, ზნე-ჩვეულებები, ზღაპრები
და სხვ.

მზადდება დასაბეჭდად „საბავშვო
ბაღი“ (ლექსი ი. გრიშაშვილისა, მხატ-
ვარი ს. გაბაშვილი), „ჩემი დედოფა-
ლა“ (ლექსი შიო მღვიმელისა, მხატვა-
რი გ. დაუშვილი), „პატარების შრო-
მა“.

უკრაინა

იაკინთე ლისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა გარბოდა, შვილი მკერდზე ჰყავდა მიკრული,
ქარში ვით დროშა დაფლეთილი გაშლოდა თმები,
წინ ველი სჩანდა გარიჟრაჟით ფერგადაკრული,
უკან ეღარუნთან ეწეოდნენ გუნების ხმლები.

იგი დაეცა, მკერდზე სისხლის სდიოდა ტალი,
ბავშვიც დავარდა, ხელაპყრობით გასცქერდა სივრცეს,
ცვიოდა ცეცხლი ციდან რისხვად გადმონაყარი,
სახლი და კარი ყველაფერი იძ ცეცხლსვე მისცეს.

ატირდა ბავშვი გაოცებით თვალგანახელი,
ძუძუს ეძებდა, აღარ იყო, დედაც არ იყო,
მიწას ვით ძუძუს გაცივებულს ჩასჭიდა ხელი,
დაეყრდნო შუბლით, ჩაეკონა, რომ გამთბარიყო.

მოსწოვა მიწა უკრაინის—დედათადედა,
შესწყდა ქვითინი. შრიალივით სუნთქავდა ჩვილი,
მაგრამ როდესაც დედამ ოდნავ გამოიხედა;
თითქოს ღრუბლებში წარმოუდგა შვილის აჩრდილი.

დახუჭა თვალი, დაიხურა თითქოს ყოველი,
აღარც სიცოცხლე, აღარც შვილი, არც უკრაინა
ხლეული ეწვის საკუთარი სისხლით სველი
და მაინც ესმის მშობლიური ქვეყნის ნანინა!

თითქოს სიზმარში სინამდვილის შევიდა შუქი,
წამოაყენეს, ვარსკვლავების ღიმილი ჰპოვა,
შვილიც აქ არის, შორს მიჰკივის ცეცხლის ქარბუქი,
გარბის ფრიცი და ვერასოდეს აქ ვეღარ მოვა.

ბელადის სიბრძნე სხივმოსილი სულში ათენებს,
რისხვად ქცეული ხალხის ბოღმა შეგუბებული,
ყოველ ჭრილობას გამარჯვების შუქით ამრთელებს
და თბება შვილი დედის ძუძუს დაბრუნებული.

მშვიდობით

ანდრო თევზაძე

მივდივარ, სადაც სამშობლო მიხმობს
სად მტერს ებრძვიან ლომგული ძმები.
მშვიდობით!—გითხარ არა იმიტომ,
რომ სამუდამოდ გემშვიდობები.

მშვიდობით!—მაგრამ დიდხანს კი არა,
რად აციმციმდა თვალებზე ცრემლი?
მოდი, გავიყოთ თანაზიარად
ჩვენ მამულის ეს განსაცდელი.

მშვიდობით! — ვამბობ, მსურს
მშვიდად დარჩე
აქ ამაგრებდე სამშობლოს კედელს,
მამულს უზრდიდე ქოჩორა ბავშვებს
როგორც ჩვენიათ ქართველთა დედებს.

და მე თუ მოვკვდი, ჩემი სიცოცხლე
დაე განაგრძონ ჩემმა ვაჟებმა,
მამის გმირული სული იცოდნენ.
არ შეარჩინონ მტერს თავაშვება.

არ შეიბრალონ, ეკვეთონ მარჯვედ
ვინც წინ ვერაგულ გადაგვეღობა. —
ბრძოლაში მხოლოდ ის გაიმარჯვებს,
ვისაც ვერ დასძლევს უიმედობა.

მშვიდობით! მინდა მტერს შევხვდე
მსახვრალს,
შორიდან მესმის სხვა საყვირის ხმა,
შენდამი ფიცი გულს დამისახავს,
როგორც ანდერძი ავთანდილისა.

ჩემი ცხოვრების აღმოსავლეთო,
და ჩემი გულის ცეცხლო ძლიერო,
შენს თავს მართმევენ და როგორ
ვგავლო
მტერს არ მივუზღა სამაგიერო.

მშვიდობით! უნდა შევხვდე თავხედებს,
ვინც მოინდომა ჩვენი გათელვა;
შენი თვალები გზას მინათებდეს,
როგორც ღამეში ციცინათელა.

მშვიდობით! მაგრამ მე მოვალ ისევ
და სალამს გეტყვი მშვიდობის
ნაცვლად;
დღეს კი მსურს ბრძოლით შევხვდე
მოსისხლეს,
ვიწოდებოდე სამშობლოს კაცად.

გჯეროდეს, მოვალ გამარჯვებული,
ისევ ლაღი და ისევ შგზნებარე,
რადგან აქ შენი გული მეგულვის
და საქართველოს ცა მოელვარე!

ფუძცლები საფრონგო ღლიუკიდან

გიორგი ნატროშვილი

6. მზვერავების დაბრუნება

ლაითმთა ისტორიკოსი ტაციტი წერდა თა-
ვის „ანალებში“ გერმანელების შესახებ:
„ომებულებით გერმანელები საბიელები
ოიან. იაგრამ ისინი ძხოლოდ ხანმოკლე ძე-
ტაკების დროს ირჩენენ სიმალეებს. კეო იტა-
ლეა ქრილობებს და ბრძოლის ველიდან გაიქ-
ცევიან ხოლმე. არ ეიიდებიან სახელის გა-
ტეხას და ალიოვიითოო ახგარის თავის ბელა-
დებს აო უფვეენ. მარცხის დროს მხდალნი
ოიან, ხოლო ყარმატეების შეთხზეეგაში ამუ-
ჩად იგდებეენ და ოია სცნობენ ოიც ღვთიურ
და ოიც ადამიანურ კეთილებს“.

ეს ოარი შემდეგშიც ოია ერთმა ისტორი-
კოსმა გაიმეორა, როცა ტევტონელი ბტაც�ბ-
ლების ეოუბვის ახასიათებდეენ. ასეთეი ეიყ-
ენ გერმაველები ტაციტის დროს, ორიათასი
წლის წინად, როცა ეხეცების ტყავში იყვნენ
გაეთხვეულნი და ტევტონეფრეის ტყეებში
დაძოკოდეენ. ასეთეი ოარიან ახლაც, როცა
ფოლადის ჯავშანი აცვიათ. ეენდნეიო და სა-
ქურველი შეიცვალა, ხოლო სული უცვლელ-
ი დარჩა. გერმანელი დამპყრობელი, როცა
ბან ხელში ავტომატი უჭირავს და ეის წინა-
შე სუსტნი და ემწეოხი, ეიარადონი და ეა-
ზაკო ბავშვები ოიან, მაშინ სამინელად „ბა-
ბაცია“, მაშინ მის კეფმაღლობას, ზეციდობას,
სრულყეეს საზღვარი ოია აქვს. გახსაცდელში
კი ის მხდალია, ეაღრესად თვინიერი და
ყალბად სანტიმენტალური ხდება. მაშინ, როცა
ეხე ბაგრად ეთავაზებენ საზეში, რომ ცხვო-
ბრის დაეხსნისოიანებენ.

მე ვნახე გერმანელები ბრძოლაში, ვნახე,
როგოო იქცეოდნენ ტყვეობაში. და მიხდა გი-
აბრთო თავგადასავალი ორი ფრიცისა,
მელთაც ისევე, როგორც მისი საშობლოს
სხვა ბვილეეი, დიდი ზვიადობა და ძალიან
პატარა გული ჰქონდათ.

სმოლენსკის ოლქში მოხდა ეს ამბავი.

სოფელი კურაკინო ხელიდან ხელში გადა-
დიოდა. ძთელი კვირა ვიბრძოლეთ ამ სოფ-
ლისათვის. გერმანელებს სოფლის ნახევარი
წავართვეთ. ყოველ მტკაველ ბიწას გაოფთრე-
ბით ებრალუებოდნენ. ძერე ის იყო, რამდე-
ნიმე დღით სიწყნარე ჩამოვარდა. ჩვენც და
ისინიც სანგრების თხრას შევუდექით. მაოჯვე
საფრები მოვძებნეთ. ორიგე მხარე მოექცა
სანგრებში, ტრანშეებში, ღრმად ჩავიდა მი-
წაში, ყოველი მეტრი მიწისა სიმაგრედ აქ-
ცია. ღამით მესანგრეებმა წინ მიდამო დანაღ-
ვეს. მაგარი თავდაცვის ზღურბლი შეიქნა
ექთაც და აქეთაც. დახედავდი სოფელს და
ეტყოდი, აქ ცოცხალი ადამიანის ჭაპანებაც
არ არისო, ნამდვილად—კი ყოველი ხის ძი-
რას, კედელს ექით, თხრილებში, ხან ხიშ-
ტები და ხან ფოლადის მუზარადები ელავდ-
ნენ, ხანაც პორტუპეის ღილებიც გაბრწყინდე-
ბოდნენ მზეზე.

აი ერთი დღეც წავიდა მშვიდად, თუ კი
მშვიდობა შეიძლება უწოდოს კაცმა ამ ძაძა-
ბულ მოლოდინს, როცა ნერვები ისეა დაჭი-
ბული, გგონია, საცაა დაწყდებიანო. „ფოკე-
ვულფი“ მთელ დღეს ტრიალებდა ჰაერში:
სადღაც, ჩვენს უკან, საბძელში თორმეტი
ცხენი ბომბით მოჰკლა. ბომბები ჩვენც და-
გვაყარა, ორ კაცს მძიმე ჭრილობა მიაყენა
მეგობარი, თან განაცხადა:—თუმცა დღეს
ჩვენს დიდს ეპოქაში, საბჭოთა ქვეყანაში ეს
ადვილი გასაგებია, რადგან ქალების მშვენიე-
რი მუშაობის კარგი მაგალითები ყოველ დღე
თვალ წინა გვაქვს—ისინი მართავენ საზოგა-
დოებრივ ორგანიზაციებს, საბჭოთა დაწესე-
ბულებებს, კოლმეურნეობებს, სოფლებს, ბრიგა-
დამიდან საუცხოვო სპეციალისტები სხვადა-
სხვა დარგში და სულ ასე. მიხვდი?“

„თავი ადაუქნიე და აღარ შევეკამათებიკარ.

მას აქეთაა მეც „ცხრა მთა გადავლახე,
ცხრა წყალს გადაღმა გავედი“, მეც შემოვია-
რე „კლდე-კაპანია“, ეხლაც ვბოგზაურობ
მთად და ბარად და უნდა მოგახსენოთ, რომ
მე რომ ხელთ მქონოდა თუ მყოლოდა, ქათ-
მებს და ბედაურებს კი არა, ქართველ ქა-
ლებს მივართმევდი ტრაქტორებს. კომბაინ-
ებს, ავტოებს, ეაროპლანებს, რა ვიცი, რას
არა. თუმცა ყველაფერი ეს მათ ხალხისა და
მთავრობის მიერ ეძლევათ საჭიროებისამებრ.
ეს კარგად ვიცით.

ჩვენ კი, საყვარელო მკითხველო, მათ მი-
ვუძღვნათ ჩვენი გულწრფელი აღტაცება და
მადლობით აღსავსე სიყვარული. უწინარეს
ყოვლისა, მათის საარაკო დედობისათვის, რომ
ესოდენ სახელოვანი გმირი შვილები დაუ-
ზარდეს საშობლოს და შემდეგ ხურგში მა-
თის თავგამოდებული მუშაობისათვის, მათი
განსაცვიფრებელი უნარიანობისათვის, გამჭ-
რიახობისათვის, დისციპლინისადმი.

რა უქნიათ ამ დალოცვილებს, რა საოცარი
მუშაობა ჩაუტარებიათ!

მთელი საქართველოს მთა და ბარი, სადაც
კი შეიძლებოდა გუთნისა და თოხის შეტანა,
გადაბიბინებულია ტულის მასალებულელი
საუცხოვო ყანებით, მოყოლებული შავი
ზღვის ნაპირებიდან, ვიდრე დაღესტნის მთის
კალთებამდე. მარცვლეული, ციტრუსები, ჩაი,
მეცხოველეობა, მეთამბაქოება და სხვა ათასი
საჭირო და სასარგებლო რამ აქ ქალების
ხელში გაფურჩქნულა, აყვავებულა და უკვე
იძლევა შესანიშნავ ხეს ნაყოფს ფრონტისა
და ზურგის საკეთილდღეოდ.

მათი შესანიშნავი ხელი ჩატარებულია
ჩვენს ნაყოფიერ ქვეყნის ნიადაგში და ამ
ნიადაგსაც მადლიერი პასუხი გაუცია.

ზეციერ ბალ

ბ. ბ.

ეს ბალ
ეს ბალ
ეს ბალ